

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი #3

ქ. ონი

21. 03. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მაისურაძე, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბაღაშვილი, დავით მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე, დიმიტრი გომამე, დავით სხირტლაძე, შორენა რეხვიაშვილი, ბექარი მაისურაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკ მაისურაძე, გელა მეტრეველი, აველ ორდინიძე, ალექსანდრე ბერიშვილი, ჯონი ბურდილაძე.

არ ესწრებოდა 7 წევრი: ვასილ მეტრეველი, ანა ბაქრაძე, სონია გუგეშაშვილი, ღვთისაგარ ბაკურაძე, კესო ჩარკვიანი, როზა ჩალაძე, ირმა სტეფნაძე-იაშვილი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი დავით რაზმაძე, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი მაგდა მაისურაძე, მარიზა რაზმაძე-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი ანნა ერისთავი.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,,ონის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 მარტის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-მარიამ გობეჯიშვილი-მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი/

2.,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-მაგდა მაისურაძე-ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი/

3. ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი-მაგდა მაისურაძე-ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი/

4. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 14 (თოთხმეტი) ცალი მზის ფოტოელექტრო სისტემების ფიზიკური პირებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ,) (თხოვების) ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

/მომხსენებელი-დავით რაზმაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი)

5. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში ვახტანგ მე-6-ის ქუჩაზე მდებარე 340.0 კვ.მ (ს.კ 88.18.24.128) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესითსარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი-დავით რაზმაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი)

6. ქ. ონში ბერ-შევას სახელობის პარკში მდებარე (ს.კ. 88.18.01.820) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიწის ფეხბურთის ხელოვნურსაფარიანი სტადიონის 1040.0 კვ.მ-ის ფართობის ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი-დავით რაზმაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი)

7. 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი-თეიმურაზ გრძელიშვილი- სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

8. ონის მუნიციპალიტეტში ამბულატორიული შენობების მშენებლობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების წინადადების მოწონების თაობაზე.

/მომხსენებელი-მარიზა რაზმაძე-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი. /

9. 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-თეიმურაზ გრძელიშვილი- სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

10. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებული ონის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი-შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/

11. „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/

12. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის განაწილების შესახებ.

/მომხსენებელი-შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/

13. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/

14. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი-ვასილ მაისურაძე -კომისიის წევრი/

15. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების მიმდინარეობისა და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პროექტირებისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

/მომხსენებელი-გივი მეტრეველი-ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. „ონის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 მარტის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-მარიამ გობეჯიშვილი-მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მ. გობეჯიშვილმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 მარტის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ სამსახურის დებულებასი ცვლილება გამოწვეულია ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილებით. ორგანიზაციაში საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში შრომითი ხელშეკრულებით ორი სპეციალისტია დასაქმებული, ხოლო აღნიშნული მიმართულებით ვაკანტური შტატი გაუქმდა.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-მაგდა მაისურამე-ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე და განმარტა, რომ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას გაუქმდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქცია და ჩამოყალიბდეს, როგორც ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილება 3 შტატით. განყოფილებაში გაუქმდეს ერთი ვაკანტური შტატი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, რადგან შრომითი ხელშეკრულებით მიღებულია ორი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ასევე, მერიის ზედამხედველობის სამსახურში გაუქმდეს ერთი ვაკანტური შტატი-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და დაემატოს შტატი-მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი-მაგდა მაისურაძე-ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ და განმარტა, რომ დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით აყვანილია ექვსი თანამშრომელი, აქედან 2-მერის თანაშემწე, 2-სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, 2-ტექნიკური მუშაკი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 14 (თოთხმეტი) ცალი მზის ფოტოელექტრო სისტემების ფიზიკური პირებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით

დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ,) თხოვების) ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

/მომხსენებელი-დავით რაზმაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი)

დ. რაზმაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად უნდა მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერიას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 14 ცალი მზის ფოტოელექტრო სისტემების პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში 2 წლის ვადით თხოვების ფორმით გადაცემაზე 13 მოქალაქისათვის.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში ვახტანგ მე-6-ის ქუჩაზე მდებარე 340.0 კვ.მ (ს.კ 88.18.24.128) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი-დავით რაზმაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი)

დ. რაზმაძემ სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში ვახტანგ მე-6-ის ქუჩაზე მდებარე 340.0 კვ.მ (ს.კ 88.18.24.128) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ და განმარტა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით აღნაგობის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას ქირის საწყისი საფასური უნდა განისაზღვროს 500.0 ლარის ოდენობით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 6. ქ. ონში ბერ-შევას სახელობის პარკში მდებარე (ს.კ. 88.18.01.820) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მინი ფეხბურთის ხელოვნურსაფარიანი სტადიონის 1040.0 კვ.მ-ის ფართობის ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით

სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი-დავით რაზმაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი აღნიშნული მინი ფეხბურთის ხელოვნურსაფარიანი სტადიონის ფართობის ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-სათვის გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოსმინეს:7. 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი-თეიმურაზ გრძელიშვილი- სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

თ. გრძელიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ და განმარტა, რომ აღნიშნული პროექტი გულისხმობს ქ. ონში სანიაღვრე სისტემების განსახორციელებელი საპრევენციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მოწონებას საკრებულოს სხდომაზე და სხდომას გააცნო ის სანიაღვრე არხები, რომელთა საპრევენციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებიც იგეგმება მიმდინარე წელს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოსმინეს: 8. ონის მუნიციპალიტეტში ამბულატორიული შენობების მშენებლობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების წინადადების მოწონების თაობაზე.

/მომხსენებელი-მარიზა რაზმაძე-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი/

თ. გრძელიშვილმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტში ამბულატორიული შენობების მშენებლობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების წინადადების მოწონების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: შ. რეხვიაშვილმა, მისი თქმით, მერიიდან იყო დაპირება ჭიორაში ამბულატორიის გახსნის შესახებ და ძალიან სამწუხაროა, რომ არ არის გათვალისწინებული. შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ამბულატორიული მომსახურების თვალსაზრისით სოფლები უბნების მიხედვით ცუდადაა განაწილებული და სასურველია გადანაწილდეს სოფლების მდებარეობის მიხედვით. ნ. ბურდილაძემ განაცხადა, რომ საუბარია სოფლების ამბულატორიებზე მაშინ, როცა მუნიციპალიტეტში საავადმყოფოს პრობლემა დგას, ონი ყოველთვის გამორჩეული იყო სამედიცინო მომსახურების კუთხით, დღეს კი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ამბროლაურში დადის სამედიცინო მომსახურების მისაღებად, ექიმს არ აქვს ოპერაციის გაკეთების უფლება, დაგვიანებით მოდის და საათები სჭირდება ლოდინი რეანიმობილს, ზოგადად მოუწესრიგებელია ჯანდაცვის სისტემა. შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ გამოთქმული პრეტენზია მართებულია, არაერთი წერილი, შეხვედრა ჰქონია პირადად მას ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე არის შემოთავაზება ქირურგის, შოთა ბუგიანიშვილის მხრიდან ექიმთა ბრიგადის მოყვანის თაობაზე, რაც მისასაღებელია.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 9. 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-თეიმურაზ გრძელიშვილი- სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ და აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აღდგა უკეთესი ფორმით, უმთავრესად მოხმარდება დაუსრულებელი სარიტუალო სახლებისა და წყლის რეაბილიტაციის პროექტების დასრულებას. შ. ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აუცილებელია, აუდიტის დასკვნაში აღნიშნული ხარვეზის გასასწორებლად და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, დასრულდეს დაწყებული პროექტები.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 10. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებული ონის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი-შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/

შ. ჯაფარიძემ სხდომას გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებული ონის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი განხილული იქნა, როგორც ბიუროს სხდომაზე, ასევე კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე. შემუშავებულია დასკვნები და მიმდინარეობს მუშაობა აუდიტის დასკვნაში მოყვანილი შენიშვნებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით. ნ. ბურდილაძის თქმით, აუდიტის დასკვნაში მუნიციპალიტეტში განხორციელებულ თითქმის ყველა პროექტზეა შენიშვნა, ხშირად მეორდება სიტყვები-არამიზნობრივი ხარჯი, გაფლანგვა და ა.შ. იკვეთება კორუფციის ეჭვის საფუძველი. ამ ყველაფერზე ხშირად იყო საუბარი საკრებულოს სხდომებზე საკრებულოს წევრების მიერ, თუმცა უშედეგოდ. მერია უნდა გრძნობდეს საკრებულოს ძალას.

ახლა მაინც ნუ მოხდება დაუმთავრებელი და გაუკეთებელი პროექტების ჩაბარება. სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით, რომელზეც უამრავი თანხა დაიხარჯა და რომელიც დღემდე არ გახსნილა და არ ფუნქციონირებს, აუდიტის დასკვნაში ფინანსურ ზარალზეა საუბარი.

თ. გრძელიშვილის თქმით, სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით არის ხარვეზები, რომელიც უმოკლეს ვადაში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, მისი ფუნქციონირებისათვის კი მხოლოდ კომუნიკაციების დაერთებაა საჭირო.

ნ. ბურდილაძემ ასევე ისაუბრა, სოფ. ღების ადმინისტრაციულ შენობაზე და აღნიშნა, რომ არამართებულადაა თანხა დახარჯული ამ შემთხვევაშიც, რადგან შენობა დაუტვირთავია ფუნქციურად, ამ პროექტზე დახარჯული თანხით წყლის ან გზის პრობლემა რომ მოგვარებულიყო, მოსახლეობა უფრო კმაყოფილი იქნებოდა. თანხა იხარჯებოდა, პროექტები კი უხარისხოდ კეთდებოდა, ამ კუთხით აღსანიშნავია სოფ. ბარისა და სოფ. კვაშხეთის გზების რეაბილიტაცია, სოფლის რწმუნებულსა და დეპუტატს არავინ არაფერს ეკითხება, პროექტის მიღება-ჩაბარებასაც არ აწერენ ხელს. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის წევრები აპირებენ პროკურატურასთან თანამშრომლობას აუდიტის დასკვნასთან დაკავშირებით. ასევე, ფირმას, რომელმაც ასე უხარისხოდ შეასრულა მერიის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მიეცა უფლება შეესრულებინა სხვა საქმეც, პროექტები კაბინეტებში კი არა, ადგილზე მისვლითა და შესწავლით, გონივრულად უნდა კეთდებოდეს, არ უნდა იყოს ხელოვნურად გაზრდილი თანხები. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფ. უწერაში წყლის მიღები არა ფოლადის, არამედ პლასტმასისაა.

გივი მეტრეველმა განაცხადა, რომ ხარვეზების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სოფლის რწმუნებულისა და დეპუტატის მაქსიმალური ჩართულობა და კონტროლის მეტი მექანიზმი. ასევე, მერიის პასუხისმგებელი პირები უნდა იყვნენ თვითკრიტიკულები და აღიარონ ის შეცდომები, რაც მითითებულია აუდიტის დასკვნაში. თუმცა აქ მოყვანილი შენიშვნები გამოსწორებადია და არაა საგანგაშო.

თ. გრძელიშვილმა აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობას არავინ გაურბის, რაც შეეხება, სოფ. უწერაში წყლის მიღებს, ეს იყო შეცდომა აუდიტის მხრიდან, რაზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ეცნობა წერილობით.

ვლ. ჩლაიძის თქმით, არა ჩაბარებისას, არამედ თავიდანვე უნდა ჩაერთონ სოფლის წარმომადგენლები მათ სოფელში მიმდინარე პროექტის განხორციელებისას.

შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საკრებულო გრძნობს თავის წილ პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე, შეუძლებელია, არ დაინახო ხარვეზები, თითქმის ყველა პროექტი საკრებულოს აქვს ადგილზე ნანახი, შემოწმებული, დასურათებული, რაც დაფიქსირებულია ოქმებში, თუმცა ხელშეკრულების გაფორმება, ზედამხედველობა არაა საკრებულოს ფუნქცია. მეტი აქტიურობა და ჩართულობაა საჭირო საკრებულოს მხრიდან ნებისმიერ საკითხზე. კომისიების მიერ დაფიქსირებული, მოსახლეობისგან გამოთქმული შენიშვნები ამა თუ იმ პროექტზე იქნება ასახული და გადაგზავნილი მერიის შესაბამისი სამსახურებისათვის შემდგომი რეაგირებისათვის.

ცნობად იქნა მიღებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებული ონის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

მოისმინეს: 11. „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/

შ. ჯაფარიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ დადგენილებაში შევიდა რედაქციული ხასიათის ცვლილება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 12. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის განაწილების შესახებ.

/მომხსენებელი-შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/

შ. ჯაფარიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნაში აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, საკრებულოსთვის გამოყოფილი საწვავი გადანაწილდა საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 13. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/

მომხსენებელმა საკრებულოს სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა და აღნიშნა, რომ საბჭომ სხდომაზე განიხილა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა და მიიღო გადაწყვეტილება, საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 14. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი-ვასილ მაისურაძე -კომისიის წევრი/

კომისიის თავმჯდომარის, სონია გუგუშვილის არ ყოფნის გამო, სხდომაზე საკითხი წარმოადგინა კომისიის წევრმა ვასილ მაისურაძემ. მან სხდომას გააცნო განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესახებ, ისაუბრა ქ. ონის ბიბლიოთეკაში ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე და ასევე მის აქტიურ მუშაობაზე და მნიშვნელოვან როლზე მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.

ა. ერისთავის თქმით, მინიმალური პირობებით ხდება მუშაობა მაქსიმალური შედეგისათვის. ბიბლიოთეკაში პერიოდულად ხდება წიგნადი ფონდის განახლება, ახალგაზრდების მოზიდვა, მათი დაინტერესება წიგნით და ჩართვა ღონისძიებებში. მისი თქმით, სოფლების ბიბლიოთეკების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია ავტობიბლიოთეკები.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მოისმინეს: 15. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების მიმდინარეობისა და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პროექტირებისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

/მომხსენებელი-გივი მეტრეველი-ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების მიმდინარეობისა და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პროექტირებისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების მიმდინარეობისა და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პროექტირებისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე